სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/149

ქ. თბილისი

19 სექტემბერი 2024 წ.

სტუ-ის საპატიო დიპლომით დაჯილდოების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის **ირ. ჟორდანიას სახელობის საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის დირექტორის ზურაბ ლომსაძის** სამსახურებრივი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2024 წლის 19 სექტემბრის №01-05-02/24 ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. სტუ-ის ირ. ჟორდანიას სახელობის საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის მთავარი მეცნიერ თანამშრომელი თამაზ პატარქალაშვილი დაჯილდოვდეს სტუ-ის საპატიო დიპლომით და ფულადი ჯილდოთი (1 თვის ხელფასით სტუ-ის საკუთარი სახსრებიდან).
2. სტუ-ის ირ. ჟორდანიას სახელობის საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის მეცნიერ თანამშრომლელი ქეთევან მახარაძე დაჯილდოვდეს სტუ-ის საპატიო დიპლომით და ფულადი ჯილდოთი (1 თვის ხელფასით სტუ-ის საკუთარი სახსრებიდან).
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**